ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4185902

ნომერი: AR1631690

თარიღი : 19.09.2018

გაცემის თარიღი : 25.09.2018

გაცნობის თარიღი : 27.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მექანიზაციის ქუჩა N1; ქალაქი თბილისი , მექანიზაციის ქუჩა N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იური სულაბერიძე პ/ნ 55001006549
- გვაზაურის 2 ბინა 46

ნომენკლატურა :

- სავაჭრო ცენტრი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3867592
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 19.03.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო ცენტრი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან კვეტენაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: LTD "Arch Design Group"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405074878

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შ.პ.ს "ერთობა +"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 204549836

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2600.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2053.21
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 9429.76
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 800.69
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1939.99
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 44.7
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 551.95
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 4037.07
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 485.25
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1570.11
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 42514.05
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 34865.25
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 7648.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 30.25
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 26.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.75
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1=0.5 1341.12/2600=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2=2.8 (7203.59)/2600=2.8
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3=0.2 392.08/2600=0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის პოზიციით საპროექტო ობიექტის ვიზუალური მხარე - მოსაპირკეთებელი მასალის ნაწილში საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა-დამუშავებას (სასურველია გამოყენებული იქნას უფრო მაღალი ხარისხის მოსაპირკეთებელი მასალა).

1. დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი;
.დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი;
.დამკვეთის ინფორმაცია. -> .ტელეფონის ნომერი;
.დამკვეთის ინფორმაცია. -> .ელექტრონული ფოსტა.: საჭიროა წარმოდგენილი იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან უფლებამოსილი პირი დაარეგისტრირეს თანაგანმცხადებლად. დამკვეთის ინფორმაციის ველები შეივსოს სათანადოდ. სახელისა და გვარის გრაფაში

მიეთოთოს შ.პ.ს "ერთობა +" დირექტორის მონაცმეები და შ.პ.ს "ერთობა +" დაფიქსირდეს ორგანიზაციის გრაფაში. წარმოდგენილი იქნას იპოთეკარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა;

2. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი;
.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: ვინაიდან 2018 წლის 10 მაისის №3953712 ბრძანებით გაიცა საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობების დემონტაჟის ნებართვა, რომელიც ვადაშია 2018 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, აღნიშნული ვადის გასვლამდე ახალი მშენებლობის ნებართვა ვერ გაიცემა; ასევე გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული შენობების დემონტაჟის შემდგომ საჭიროა განახლდეს საკადასტრო და ტოპოგრაფიული გეგმები;

3. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: განაახლეთ ხარვეზის შესაბამისად;

4. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 არის მიწისპირა სართულის იატაკის ზედაპირის (მათ შორის კიბის, ტერასის, აივნის, ერკერის, გარდა სამანქანო პანდუსისა) გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მაქსიმალური მაჩვენებელი (შესაყვანია 1-9 და 9-1 ღერძებში არსებული ფილაც);

5. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ვექტორულ ფაილში დატანილი კ2 კოეფიციენტის კონტურებზე მითითებული ფართების ჯამი არ შეესაბამება აღნიშნულ ველში მითითებულს;

6. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი;
.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი;
.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: მიწის ნაკვეთის უკანა ეზოს ტერიტორიაზე შენობის ან მისი ნაწილის განთავსება დაუშვებელია; ე-დ და 1-9 ღერძებში ღიობებით სიმარლეში საწიროა დაიცვათ სამეზობლო მიჯნა; ხოლო შესაბამის ფასადებზე დაიტანოთ რიობების ზედა ნიშნულები - გრუნტიდან; გეგმებზე მეორე სინათლეს მიუთითეთ და დააწერეთ ნიშნული;

7. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: უკანა ეზოდან მაქსიმალური სიმაღლის ნიშნული საჭიროა აითვალოს გრუნტის და ფასადის გადაკვეთის ნიშნულიდან;

8. ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : ფასადებზე და ფოტომონტაჟზე საჭიროა მიუთითოთ ფერის საერთაშორისო - RGB და RAL კოდები;

9. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : განაახლეთ ხარვეზის შესაბამისად;

10. არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: განაახლეთ ზემოარნიშნული ხარვეზების შესაბამისად;

11. საჭიროების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით -> სქემის pdf ფაილი: საჭიროა წარმოადგინოთ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საკვლევი (საჭიროების შემთხვევაში – საპროექტო ტერიტორიაზე) ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის, ნაკადების რაოდენობის მიმართულებების მითითებით) და საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასება არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე. ასევე გაითვალისწინეთ: საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს №413 დადგენილებით შევიდა ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო

პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში და მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას, პროექტის შემადგენელ ერთ-ერთ სავალდებულო დოკუმენტს წარმოადგენს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, საჭიროა წარმოდგენილი იქნას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით.

12. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი -> გამწვანების პროექტის pdf ფაილი: ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად საპროექტო გადაწყვეტით ხორციელდება არსებული ხის მოჭრა/გადარგვა, დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ.

13. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: შესაბამის ველებში საჭიროა ატვირთოთ მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების და შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების დადებითი ან უარყოფითი საბოლოო დასკვნა. ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

14. ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: შესაბამის ველებში საჭიროა ატვირთოთ მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო- გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების და შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების დადებითი ან უარყოფითი საბოლოო დასკვნა. ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

15. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: განაახლეთ საჭიროების შემთხვევაში;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.
საკითხის კვლავ ხარვეზით შემობრუნების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge